პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 თებერვალი შაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 46 (15867)

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

დიდება საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებს, არმიისა და ფლოტის veteranebs!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

ყაზახეთის სსრ, ბელორუსიის სსრ და როსტოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა ინიციატივის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ყაზახეთის სსრ, ბელორუსიის სსრ და როსტოვის ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ინიციატივა, რომლებმაც წამოაყენეს წინადადება გაშალონ ფართო სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დიდმწარმოებლური გამოყენებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს მხარი დაუჭირონ ამ ინიციატივას, შეიმუშაონ და განახორციელონ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და „სოფლტექნიკის“ გაერთიანებებში კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც მიზნად ისახავენ ტექნიკის გამოყენების მკვეთრ გაუმჯობესებას, მანქანების ცვლისა და დღიური გამომუშავების ამაღლებას.

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მექანიზატორთა კადრების საჭირო რაოდენობის მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ტრაქტორებისა და კომბაინების ორცვლიანი მუშაობის უზრუნველყოფას, მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტის ხარისხის ამაღლებას, ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესებას, ტექნიკის შენახვის უზრუნველყოფასა და მანქანებისა და მექანიზმების სამსახურის ვადის გადიდებას.

მეშვიდობის არმია

ჯ. მელნიკოვი,

ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი

საბჭოთა სახელმწიფოს მატიანე წმიდად ინახავს მოვლენებსა და თარიღებს, რომლებთანაც განუყოფლად არის დაკავშირებული ჩვენი ხალხის საბრძოლო მამაცობა, დიდება და ძალიერება. ერთ-ერთი ასეთი დირსსასოვარი თარიღია 1918 წლის 23 თებერვალი — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დაბადების დღე. ეს დღე გახდა სსრ კავშირის ხალხთა, საბჭოთა შეიარაღებული ძალების დღესასწაული. ჩვენს ქვეყანასთან ერთად მას ფართოდ აღნიშნავენ სოციალისტური სახელმწიფოების მშრომელები, საბჭოთა კავშირის მილიონობით საზღვარგარეთელი მეგობარი.

შეიარაღებული ძალების 56 წლისთავს საბჭოთა ადამიანები ეგებებიან უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია ჩვენი ქვეყნის მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის შესანიშნავი შრომითი გამარჯვებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-7 სესიის გადაწყვეტილებებით, რომლებზაც დასახეს მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გრანდიოზული ამოცანები.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის, ამერიკავკასიელი მეომრებისათვის ეს თარიღი დირსსასხოვარია იმით, რომ იგი აღინიშნება დიდი ზეიმის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 53 წლისთავის წინ.

ჩვენი სახელოვანი წითელი არმია იშვა ახალი ერის გარიჟრაჟზე, რომელსაც დასაბამი მისცა ძველმოსილმა ოქტომბერმა. მისი გმირული ისტორია განუყოფლად არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიის რევოლუციურ-გარდამქმნელ საქმიანობასთან, ვ. ი. ლენინის სახელთან. მშრომელთა დიდმა ბელადმა განმეორიტა, რომ გამარჯვებულ „პროლეტარიატს მოუხდებოდა ბურჟუაზიის შეიარაღებული იერიშების მოგერიება. ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა, დაასაბუთა მოძღვრება სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ, ჩამოაყალიბა სოციალისტური სახელმწიფოს არმიის ისტორიული დანიშნულება და ამოცანები. — „და ეს არმია, — თქვა მან, — მოწოდებულია დაიცვას რევოლუციის მონაპოვარნი, ჩვენი სახალხო ხელისუფლება, ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, მთელი ახალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული წყობილება ხალხის ყველა მტრისაგან...“

საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნის პარტიის კრება ოფიციალურად დაუკანონა 1918 წლის 28 იანვარს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტმა შრომა-გლეხური წითელი არმიის შექმნის შესახებ, 11 თებერვალს კი დეკრეტმა მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის შექმნის შესახებ.

ეყრდნობოდა რა რევოლუციური ხალხის ენთუზიაზმს, პარტიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით არ დაიშურა ძალ-ღონე წითელი არმიის დაარსებისა და ჩამოყალიბებისადმი. ეს მუშაობა განსაკუთრებით გაიშალა 1918 წლის 18 თებერვალს კიზერული ჭერმნის ჯარების მოწვევიდან ბოლო ყოფილი შეტევის ვითარებაში. მტრის ჯარები მოიწევდნენ პეტროგრადისაკენ, მოსკოვისა და კიევისაკენ. განსაკუთრებით საშიში მდგომარეობა შეიქმნა პეტროგრადის მიმართულებით.

პარტიისა და პირადად ვ. ი. ლენინის ინიციატივით სახალხო კომისართა საბჭომ ხალხს მიმართა მოწოდებით „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!“ და მშრომელებს მოუწოდებდა მკერდით დაეცვათ საბჭოების „ახალგაზრდა რესპუბლიკა. პარტიის მოწოდების პასუხად პეტროგრადსა და მოსკოვში, ურალისა და ურალის ჭარხნებში, ქვეყნის ბევრ სხვა ქალაქში ფიმართა მასობრივი მიტანტები. ათიათასობით მუშა მოხალისედ შეიდა წითელი არმიის რიგიანში. შიქნნილი რაზმები დაყოფნებლივ მიდიოდნენ მტრის შესახვედრად.

ხალხის რევოლუციური ძალების მობილიზაციისა და ოქტომბრის მონაპოვრების დაცვის დღეები გახდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების დაბადების დღე. „ერთი კვირა... 18-დან 24 თებერვლამდე. — წერდა 1918 წლის 25 თებერვალს ვ. ი. ლენინი. — რუსეთის — და საერთაშორისო — რევოლუციის ისტორიაში შვა როგორც ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული გარდატეხა“.

სოციალისტური რევოლუციის დასაცავად აომდგარი ჩვენი ხალხის უსაზღვრო მამაცობის, ფსიოოთან, ნარაასთან და სხვა ადგილებში ვერმანიის რეგულარული ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში წითელი არმიის პირველი რაზმების მებრძოლებს მიერ გამოჩენილი გმირობის აღსანიშნავად 23 თებერვალი ყოველწლიურად, 1919 წლიდან მოოსლებული. აღინიშნება როგორც საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა მთავრობამ არაერთხელ მიმართა ანტანტისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს სამშვიდობო წინადადებებით. მაგრამ იმპერიალისტებმა შეიარაღებული ინტერვენციით უპასუხეს, საბჭოთა ხალხს თავს მოახვიეს ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი. მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა სახელმწიფოს წინააღმდეგ გაილაშქრა საერთაშორისო იმპერიალიზმისა და შინაური კონტრრევოლუციის კოალიციამ.

კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა რესპუბლიკები დარაზმა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირად. მტერზე გამარჯვებამი ღირსეული წვლილი შეიტანა თვითეულმა საბჭოთა ხალხმა.

იგი აგრეთვე იყო მშრომელთა საერთაშორისო ძმობის გამარჯვება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გამარჯვება. წითელი არმიის რიგებში ჩვენი ქვეყნის ხალხთა შვილების გვერდით იბრძოდნენ უნგრელები და პოლონელები, სერბები და ბულგარელები, გერმანელები და ფინელები, ბევრი სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

დაძლიეს რა უდიდესი სიძნელეები და გაეჭირვება, საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს უცხოელ დამპყრობთა ურდოები და თეთრგვარდიელები, დაიცვეს ოქტომბრის მონაპოვრები.

სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის მრისხანე წლებში შეიქმნა და დიდების შარავანდედით შემოსა თავისი დროშები გმირულმა მე-11 არმიამ — ჩვენი ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ფუძემდებელმა, რომელიც მშრომელებს დაეხმარა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში.

წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა გადამწყვეტი პირობა იყო ის, რომ კომუნისტური პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით ხელმძღვანელობდა საბჭოების რესპუბლიკის დაცვის მთელ საქმეს.

მოიგერია რა მსოფლიო იმპერიალიზმის სამხედრო თავდასხმა, საბჭოთა ქვეყანამ საშუალება მიიღო დაეწყო მშვიდობიანი მშენებლობა. მაგრამ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს მუდამ ახსოვდათ ვ. ი. ლენინის გაფრთხილება, რომ სანამ არსებობს იმპერიალიზმი, არ შეიძლება საშიშროების დავიწყება. „არ უნდა დავენდოთ იმპერიალიზმისათვის უკვე ჩაცემული ლახვარს, — ამბობდა იგი, — რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი წითელი არმია მთელი თავისი საბრძოლო მზადყოფნით და გავაძლიერთ მისი საბრძოლო უნარი“.

პირველი ხუთწლედების წლებში შეიქმნა იმ დროისათვის თანამედროვე ქვეყნის თავდაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განხორციელდა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძირფესვიანი ტექნიკური რეკონსტრუქცია.

ამ წლებში იმპერიალისტებმა არაერთხელ სცადეს მოესინჯათ სამხედრო საშუალებებით სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, მაგრამ ყოველთვის გამანადგურებელ პასუხს იგებდნენ ხოლმე.

საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი გადაიქცნენ მძლავრ ძალად, რომელსაც შეუძლია საიმედოდ დაიცვას სსრ კავშირი გარეშე მტრებისაგან. წარმატებით შეასრულოს პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობა.

საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალების სიმტკიცის უმაგალითოდ მძიმე გამოცდა იყო დიდი სამამული ომი.

ისტორია სამუდამოდ შეინახავს კაცობრიობის მეხსიერებაში საბჭოთა მეომრების დიად გამარჯვებებს მოსკოვისა და სტალინგრადისათვის, ლენინგრადისა და კიევის კედლებთან, სევასტოპოლისა და ოდესისათვის ბრძოლებში, კურსკის რკალზე, ბუდაპეშტთან და ვარშავასთან, ვენასთან და ბერლინთან ბრძოლებში.

დიდი სამამული ომის უდიდეს ბრძოლებს შორის არის კავკასიისათვის ბრძოლა. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ეცდნენ ჰიტლერ-ფაშისტ-ლენინელები ჯართ და ამიტომ უნდა დავეყრდნოთ ლენინურ ტრადიციებს, და სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს გულახდილად კილაპარაკოთ ნაკლოვანებებზე.

მრეწველობაში ხუთწლედის პირველი სამი წლის მაჩვენებლები ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ 1972 წლის ჩავარდნის მიუხედავად, აჭარის სახალხო მეურნეობის მდგომარეობა სტაბილურია.

მართალია, 1970 წელთან შედარებით წარმოების ზრდის ტემპმა 1973 წელს შეადგინა 115.1 პროცენტი. მაგრამ ეს მაჩვენებელი 0.2 პროცენტით ჩამორჩება ხუთწლედის პირველი სამი წლისათვის დაგეგმილ მაჩვენებლებს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წარმოების ტემპის ზრდის საგეგმო მაჩვენებელი 1972 წელს არ შესრულებულა, ცხადი იქნება, რომ ჯჭარის მრეწველობაში ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე როდია. ჩვენ წარმოების ზრდის ტემპის გეგმის შესრულებას უნდა მივაღწიოთ არა იერიშობანათი, არამედ გეგმაზომიერი, სტაბილური, რიტმული მუშაობით.



ბათუმი. ხალხთა მეგობრობის-ორდენის გადაცემა აჭარის ასს რესპუბლიკისათვის.

ნ. ანასტასიევისა და ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

განახლებული მხარის ზეიმი

აჭარის ასს რესპუბლიკას გადაეცა ხალხთა მეგობრობის ორდენი

ბათუმი, 22 თებერვალი. (საქინფორმის სპეც. კორ.). სასიხარულო დღესასწაული დაუდგა დიდი ოქტომბრის მზის ქვეშ განახლებულ, წინათ მრავალტანჯულ აჭარას. დღეს ავტონომიური რესპუბლიკის დროშაზე ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების გვერდით ხალხთა მეგობრობის ორდენი აციოდა.

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში მოვიდნენ შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, პარტიის veteranebi, სახელოვანი აჭარელი მეჩაიეები, რომლებსაც მკერდს უმშვენებს სამშობლოს მრავალი ჯილდო, — მამაცური შრომის მაღალი დაფასება.

აქ გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას. სხდომა გახსნა აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **დ. დ. დიასამიძემ.**

ეღირს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

დარბაზში მარშის ხმაზე შემოაჭრეს აჭარის ასსრ დროშა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშები.

სტუმარი ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ე. ა. შევარდნაძეს.** მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით და დავალებით, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სახელით მხურვალედ მიეღოცა აჭარელ მშრომელებს მაღალი ჯილდო და ულოცავდა ახალი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში.

სხხარულისა და სიამაყის გრძნობები, რომლებმაც დღეს აღაფსნეს მშვენიერი აჭარის ყველა მეხოვრეები გონება და გული. მახლობელი და ნაცნობია ჩვენი ულიდეგანო სამშობლოს ყველა მშრომელისათვის. ამ გრძნობებით აქვთ გამბადარი გული ჩვენი დიადი საბჭოთა ხალხთა. ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, მთელი საბჭოთა მიწა-წყლის ხალხებს.

დღეს ხალხთა მეგობრობის დღესასწაული დადგა აჭარაშიც — მეგობრობისა და ძმობის ამ სახელოვან ბასტიონში, რომელიც საბჭოთა კავშირის ყველაზე საბრძოლო საზღვარზე მდებარეობს. მაგრამ ამ დღესასწაულს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხეში ზეიმობენ: თქვენთან ერთად ზეიმობს ამ დღის მთელი საბჭოთა საქართველო. ასეთია საბჭოთა ადამიანების ძმობრივის ოქროს ჯაჭვი, ასეთია მათი რკინისებური ლოგიკა და ნება — შეიდამ ერთად ვიყოთ, გავიზიარეთ ერთმანეთის პირიცა და ლხინიც.

ეს დიდი ლენინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანდერძია და საბჭოთა ხალხიც თვალისჩინივით უფრთხილდება თავისი ბელადისა და მასწავლებლის ამ ანდერძს.

მე წ�მხედა დიდი პატივი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით გადავცეთ აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას სამშობლოს ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ჯილდო — ხალხთა მეგობრობის ორდენი.

ვიცი, რა დიდ სიხარულს მოგანიჭებთ ცნობა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც არა მარტო საქართველოს ყველა მშრომელის, მთელი საბჭოთა ხალხის, არამედ მთელი მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის უსაზღვრო ნდობით, აღიარებით, სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს, მხურვალედ ულოცავს საბჭოთა აჭარას ესოდენ მაღალ, დამსახურებულ ჯილდოს, და გისურვებთ თქვენ, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელს თქვენი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას და აყვავებას, ახალ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

აქ, აჭარაში, ძვირფასო ამხანაგებო, არა მარტო ყოველივე სულიერი, არამედ ეგრეთწოდებული უსულო ბუნებაც კი ცოცხლობს და სუნთქავს. მიწაც კი, რომელიც გაღღენთილია ხალხის ათასობით ღირსეული შვილის ოფლითა და თავისუფლებისათვის, ბედნიერებისათვის, რევოლუციისათვის მძიმე ბრძოლთა წმიდათაწმიდა სისხლით, ცოცხლობს, სუნთქავს და სულდგმულობს.

მშვენიერი აჭარის ღირსეულ შვილების წმიდათაწმიდა სისხლით მორწყული ამ ცოცხალი მიწის სახელით, აჭარის მცხუნვარე და მარადიული მზის სახელით, ოთხგზის ორდენსანი საბჭოთა საქართველოსა და სამგზის ორდენოსანი საბჭოთა აჭარის ვგრძნობ დიდ მშრომელთა სახელით ამ საზეიმო დღეს გულითად მადლობას ვუძღვნით ჩვენი სახელოვანი ლენინური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, საბჭოთა მთავრობას, ჩვენს ძლიერ და საიმედო ძმას და მეგობარს, ბელბერაზს — ხალხთა ურყევი ლენინური მეგობრობის მჭადაგებელს — დიდ რუს ხალხს, რომელმაც სამუდამოდ და ურღვევად შეადუღა საბჭოთა ხალხების ერთიანობა, მეგობრობა და ძმობა, ჩვენი მიწა-წყლის უმაგალითო აღორძინებისა და აყვავებისათვის, თავისუფლებისა და ბედნიერებაზე ჩვენი ხალხის საუკუნოვანი ოცნების ახდომისათვის.

დღეს ისეთი გრძნობა მაქვს, ისე, წარმომიდგენია, თითქოს ამ შესანიშნავ ზეიმზე ჩვენთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი ჩვენი პარტია გვესწრებოდეს, აქ თითქოს გვესწრებიან ავტონომიური ,ომბატის ბოლიტბიუროს წევრები, ჩვენთან ერთად იზიარებს ჩვენს სიხარულს ამ მშვენიერ და ამაღელვებელ ზეიმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

ნება მიბოძეთ საბჭოთა აჭარის ყველა მშრომელის, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის სახელით გულითადი მადლიერების სიტყვებით მივმართო მას ამ დიდი ზრუნვისათვის, ნდობისათვის, მხარდაჭერისათვის, პარტიასა და სახელმწიფოში იმ ლენინური ატმოსფეროსათვის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ დაუეჭვებლად და უშიშრად, საკუთარ ძალაში და ხვალინდელ დღეში დარწმუნებულები, დარწმუნებულები, რომ უცილობლად გაიმარჯვებს ჩვენი დიადი საქმე.

შედარებით მოკლე ისტორიულ დროში, თქვა შემდეგ ორატორმა, მეფის რუსეთის ჩამორჩენილი კოლონიური განაპირა მხარე აჭარა, გადაიქცა დიდად განვითარებულ, ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მოწინავე კულტურა. ეს რესპუბლიკა გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით. პარტიამ, მისმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმეს ამ მხარეს. 1903 წელს გაზეთ „ისკრაში“ ლენინი წერდა, რომ მუშათა მოძრაობამ „კავკასიის სამრეწველო ცენტრებში, როგორიცაა ბაქო, თბილისი და ბათუმი... უკვე ღრმად გაიდგა ფესვები“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინი თავგამოდებით უჭერდა მხარს ბაქო-ბათუმის შეადუღების მშენებლობას. ეს ხელმისაწვდომს გახდისო ჩვენთვის მსოფლიო ბაზრებს, ამბობდა იგი. ასრულდა დიდი ბელადის წინასწარმეტყველური სიტყვები, ბათუმი გახდა ჩვენი ქვეყნის სამხრეთის საზღვაო კარიბჭე. დღეს ამ ნავსადგურში შემოდიან მსოფლიოს ორმოცზე მეტი სახელმწიფოს ხომალდები.

აჭარის პროლეტარიატის დიდმა რევოლუციურმა ტრადიციებმა ეს მხარე ფაქტიურად გარდაქმნეს რევოლუციურ საწყისებზე. ახლა 1921 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება აქ 130-ჯერ გაიზარდა. გიგანტური ნაბიჯი ვითარდებოდა აჭარის სოფლის მეურნეობა. საყოველთაოდ ცნობილი ლეგენდა ამ მხარის შესახებ სინამდვილედ იქცა. შექმნილია „ოქროს საწმისი“ — ციტრუსები და ჩაი — რომელთა წარმოება რესპუბლიკაში. 90-ჯერ გაიზარდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ერთისამად გაიზარდა აჭარის მოსახლეობა, რომელსაც რევოლუციამდე პრაქტიკულად ფიზიკური და სულიერი გადაშენება ელოდა. საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე გახდა ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეის განხორციელების კლასიკური მაგალითი — ერთიან ძმურ ოჯახში აქ შრომობენ ქართველები, რუხები, სომხები, უკრაინელები. ბერძნები, ებრაელები, აფხაზები, ბევრი სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

დიდი წარმატებანია მიღწეული აჭარის კულტურის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე აჭარაში ბევრი სახელოვანი საქმე გაკეთდა. მიღწეული მარტო არასრული, უბრალო ჩამოთვლა იმ დიდი ნაბიჯების, იმ დიდი ძვრების ნათელ სურათს გვაძლევს, რომლებიც აჭარაში მოხდა ცხოვრების ყველა სფეროში.

ყველა ამ მიღწევას საბჭოთა აჭარა უნდა უმადლოდეს ხალხთა ლენინურ მეგობრობას, რომელიც ასე მჭიდროდ აკავშირებს მას საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხთან, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ხალხებთან, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან.

ამ დღეებში სამშობლოს ჯილდოები გადაეცათ საბჭოთა აფხაზეთსა და საბჭოთა სამხრეთ ოსეთს.

ოთხგზის ორდენსანი საბჭოთა საქართველოს დროშის გვერდით ამაყად ფრიალებენ საბჭოთა აჭარის, საბჭოთა აფხაზეთის, საბჭოთა სამხრეთ ოსეთის დროშები, რომლებზეც კაშკაშა ვარსკვლავებივით კიაფობენ ლენინური მეგობრობისა და ძმობის ხორცშესხმული იდეების სიმბოლოები — ხალხთა მეგობრობის ორდენები.

ნება მიბოძეთ ამ საზეიმო წუთებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, საქართველოს საკავშირო მშრომელოს და პირველ რიგში აჭარის მშრომელი ხალხის სახელით მივესალმოთ მზიერ და ჩვენს მშობლიურ აფხაზეთს, მის საოლქო პარტიულ ორგანიზაციას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელს. მიეულოცო მათ სამშობლოს მაღალი ჯილდო — ხალხთა მეგობრობის ორდენი. აფხაზი ხალხი. ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოძმე ხალხთან ერთად, რომელსაც ღრმად სწამს თავისი ბედნიერი აწმყო და შესანიშნავი მომავალი, რომელიც თავისუფალი წარსული წლების ეჭვებისა და დანაშრევებისაგან, ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხთან ერთად დღეს მხარდამხარ გულდაჯერებით მიდის ლენინური გზით, ინტერნაციონალიზმის გზით, სამართლის, შრომისა და პატიოსნების გზით, ყოველგვარი ნაკლოვანებებს წინააღმდეგ მწყავე და შეურიგებელი ბრძოლის გზით, უმაღლეს ადამიანურ ღირებულებათა აღორძინების გზით.

საბჭოთა აფხაზეთისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემა სიმბოლურად გამოხატავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის როლს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში, საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების გაღრმავებაში, გაფართოებასა და გაძლიერებაში.

ჩვენ გვინდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი კლიმატი და სოციალური ცხოვრება ისეთივე მშვენიერი იყოს, როგორიც მისი ბუნება და მისი კლიმატია, ჩვენ გვინდა, რომ ეს ჰარმონია ურღვევი იყოს აწ და მარადის. დღეს ჩვენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის სახელით, ქართველი ხალხისა და რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით, საქართველოში მცხოვრები ყველა მოძმე ხალხის სახელით, აჭარის დალოცვილი მიწა-წყლიდან მივესალმებით ორდენოსან საბჭოთა სამხრეთ ოსეთს, კავკასიონის ჩუქურთმას. ვუღოცავთ მას სამშობლოს მაღალ ჯილდოს — ხალხთა მეგობრობის ორდენს და ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

შემიძლია მოვახსენო აჭარელ მშრომელებს, რომ სამხრეთ ოსეთის ხალხი, ოლქის პარტიული ორგანიზაცია ახალ წარმატებებს აღწევენ გაორკეცებული ენერგიით. შე ვიტყოდი, ახალგაზრდული შემართებითა და ენთუზიაზმით ეტევენ ხუთწლედის მიზნებს და ქართველებთან, რუსებთან, აფხაზებთან, სომხებთან, ებერძანელებთან, ჩვენი რესპუბლიკის ყველა ხალხთან ერთად მამაცურად და მტკიცედ მიაბიჯებენ ნათელი მომავლისაკენ.

სამხრეთ ოსეთში შეურიგებელი ბრძოლა გაიშალა ნაკლოვანებების, კერძო მესაკუთრული ტენდენციების, რუტინის, თვითკმაყოფილებისა და სხვა ანომალიური გამოვლინებების წინააღმდეგ, რაც იმის უტყუარი გარანტიაა, რომ უახლოეს წლებში საბჭოთა სამხრეთ ოსეთს კიდევ უფრო აყვავებულს ვიხილავთ.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ ღრმად გააანალიზა აჭარის სახალხო მეურნეობის განვითარება, მოიყვანა იმ განსაცვიფრებელი ცვლილებების მაგალითები, რომლებიც მოხდა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კულტურაში, განათლებაში, აჭარელ ქალთა საზოგადოებრივ მდგომარეობაში. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ცხოვრების ყველა სფეროში. მართალია, დღეს ჩვენ ზეიმი გვაქვს, — თქვა მან, და ჩვენ მხოლოდ გამარჯვებებზე უნდა ვილაპარაკოთ, მაგრამ ეს სწორი არ იქნებოდა. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი იუბილეს აღნიშვნის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევდა განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას გადაუჭრელი პრობლემებისადმი, ვიხილოდან სწორედ გადაუჭრელი პრობლემების გადაჭრა ქმნის მომავალი გამარჯვებების, და, მაშასადამე, მომავალი ზეიმებისა და დღესასწაულების ტკიცე გარანტიას. ჩვენ მარქსისტ-ლენინელები ვართ და ამიტომ ენდა დავეყრდნოთ ლენინურ ტრადიციებს, და სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს გულახდილად კილაპარაკოთ ნაკლოვანებებზეც.

მრეწველობაში ხუთწლედის პირველი სამი წლის მაჩვენებლები ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ 1972 წლის ჩავარდნის მიუხედავად, აჭარის სახალხო მეურნეობის მდგომარეობა სტაბილურია.

მართალია, 1970 წელთან შედარებით წარმოების ზრდის ტემპმა 1973 წელს შეადგინა 115.1 პროცენტი. მაგრამ ეს მაჩვენებელი 0.2 პროცენტით ჩამორჩება ხუთწლედის პირველი სამი წლისათვის დაგეგმილ მაჩვენებლებს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წარმოების ტემპის ზრდის საგეგმო მაჩვენებელი 1972 წელს არ შესრულებულა, ცხადი იქნება, რომ ჯჭარის მრეწველობაში ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე როდია. ჩვენ წარმოების ზრდის ტემპის გეგმის შესრულებას უნდა მივაღწიოთ არა იერიშობანათი, არამედ გეგმაზომიერი, სტაბილური, რიტმული მუშაობით.

(დასასრული მე-2 გვ.).

(დასასრული მე-3 გვ.).

განახლებული მხარის ზეიმი

(დასასრული)

ხუთწლედის შესრულება ბევრად არის დამოკიდებული ამაზე, თუ რამდენად დაჩქარდება ავტონომიურ რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა, რა ტემპით განხორციელდება მრეწველობის მოდერნიზაცია და რეკონსტრუქცია. ამასთან განსაკუთრებული უურადღება უნდა დაეთმოს გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებს. პირველ რიგში, ჩაის გადამამუშავებელ და საკონსერვო მრეწველობას.

გარკვეული წარმატებანია მიღწეული კაპიტალური მშენებლობის, სახანაო მშენებლობის დარგებში. მაგრამ არ შეიძლება არ დაგვფიქროს იმ გარემოებამ, რომ აჭარაში ბევრი მაჩვენებლის მიხედვით წლითიწლობით არ სრულდებოდა კაპიტალური მშენებლობის გეგმები. რომ 1971 წელს ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა შესრულდა მხოლოდ 83 პროცენტით, ხოლო 1972 და 1973 წლებში — 81 პროცენტით.

1974 წლის იანვრის გეგმა კაპიტალური მშენებლობის დარგში აჭარაში დაფინანსების ცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე არც ერთი მაჩვენებლის მიხედვით არ შესრულებულა, ეს დაუშვებელია. ხოლო სახანაო მშენებლობის გეგმების შესრულებაში ჩავარდნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია ხალხის წინაშე დანაშაულად.

აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციის წინაშე დგას დიდი ამოცანები კაპიტალური მშენებლობის ტემპის დაჩქარების, სამშენებლო ორგანიზაციების რენტაბელობის გადიდების, მშენებლობის ხადების შემცირებისა და განსაკუთრებით მისი ხარისხის გაუმჯობესების დარგში.

დიდი და სერიოზული პრობლემები დგას აჭარის სოფლის მეურნეობის წინაშე. ეს არის, კერძოდ, მეცხოველეობის პროდუქტების, ციტრუსების, ბამბაშუშის პარკის, ბოსტნეულის წარმოების შემდგომი გადიდება, საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი განვითარება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშიალო ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, კოლმეურნეობათა რენტაბელობის გადიდება.

საჭიროა ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ძირეული გარდაქმნა. უნდა გვახსოვდეს, რომ სოფელი ეს მარტო ჩაის პლანტაცია და მეცხოველეობის ფერმა, მათი საწარმოო გეგმა რომდია. სოფელი არის ჩვენი პირველი გადასახედი, საიდანაც მთელ სამყაროს ვხედავთ და მისი სიყვარულით ჩვენი დიდი ქვეყნის სიყვარულს ვიწყებთ. ამიტომ დღენიადაგ უნდა გზრუნავდეთ მისი შემდგომი გამშენებლობა-გალამაზებისათვის. აჭარაში ცუდადაა სოფლების ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარების საქმე.

ორატორმა მოიყვანა ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვას მაგალითი. ეს დიდი სოფელია. იქ ათასზე მეტი კომლი ცხოვრობს, მაგრამ მეცხოველეობის ფერმაში სულ სამოცოდენ ძროხა ჰყავთ და მეცხოველეობის მთელ პროდუქციას სახელმწიფოს აბარებენ. მოსახლეობას ცოტა ჰყავს საკუთარი ძროხები. მიუხედავად ამისა, ხალხი კარგად გამოიყურება, არც მეცხოველეობის პროდუქტების ნაკლებობას განიცდის და არც მემცენარეობის პროდუქტებისას, რადგანაც მთელი სოფელი ბორცს, კვერცხს, რძეს, ბოსტნეულს, ხილს ყიდულობს ქალაქ ბათუმის მაღაზიებსა და ბაზარში. და ამ მხრივ ბათუმისა და დაგვას მცხოვრებლებს შორის არავითარი განსხვავება არ არის. სამწუხაროდ, დაგვა გამონაკლისი როდია. აჭარის ბევრი სოფლის მცხოვრებლები, ამის ნაცვლად, რომ თვითონ აწარმოონ სოფლის მეურნეობის პროდუქცია, გადაქცეულა არიან ამ პროდუქციის მომხმარებლებად.

თქვენ იცით, რომ ჩვენ, კომუნისტები, ქალაქსა და სოფლის შორის განსხვავების მოსპობის მომხრენი ვართ, მაგრამ არა ასეთი განსხვავებისა. ნუთუ ეს ნორმალურია, რომ ერთი ლიტრი რძისა და ასი გრამი ბოსტნეულის საყიდლად სოფლის მცხოვრები ქალაქში გარბოდეს.

თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ეს მეტად სერიოზული პრობლემაა. როდესაც აჭარის სოფლის მეურნეობის პრობლემებზე, მისი კოლტურების განლაგების ახალ სტრუქტურაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ეს მოვლენა. იმ კოლმეურნეობებს, რომელთაც არ გააჩნიათ მეზობელ რაიონებში ეკოპერირებისათვის საჭირო ფულადი შემოსავალი, მოუწევთ იმაზე მაინც იზრუნონ, რომ საკუთარი წარმოების პროდუქტებით უზრუნველყონ მოსახლეობა.

როდესაც ვლაპარაკობთ აჭარის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაზე, მხედველობაში უნდა გვქონდეს მისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ოპტიმალური გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული გეგმის შედგენის საკითხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა ისე უნდა დაიგეგმონ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომ აჭარის მიწაზე ოპერატულად მოგვყავდეს ის კულტურები, რომელთა მოყვანა სუბტროპიკული ლიმატის ამო უპირატესად სწორედ აჭარაშია შესაძლებელი.

აჭარის სოფლის მეურნეობის შემდგომი ორმაგობა და ანალიზირება, ეფექტურობა შეიძლებელია მისი ეფექტიფიკაციის, შეერთებისა, ინტენსიფიკაციის გარეშე.

ასეთია ის ამოცანა, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს აჭარის სოფლის მშრომელების წინაშე, და ჩვენ რწმენას გამოვთქვამთ, ეს ამოცანა ღირსეულად იქნება გადაჭრილი.

მომსახურების სფერო, თქვა ორატორმა, ჩვენი პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. სწორედ ამ სფეროში გრძნობენ ყველა სხვა სფეროზე უფრო ცხადად მშრომელები ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ გაწეული ტიტანური შრომის ნაყოფს.

მომდინარე ხუთწლედი, როგორც ცნობილია, პარტიის მიერ გამოცხადებულია ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ხუთწლედად, ამიტომ ჩვენ განსაკუთრებულ უურადღებას ვუთმობთ მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესების საქმეს, რათა უფრო რეალურად, კიდევ უფრო მეტად იგრძნონ ჩვენმა მშრომელებმა — მუშათა კლასმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ პარტიისა და მთავრობის ზრუნვის სიკეთე. პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების განუხრელი განხორციელების სიკეთე.

უნდა ითქვას, რომ მომსახურების ის დონე, რომელიც ამჟამად არის აჭარაში, მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს ჩვენი მოსახლეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებებს.

განსაკუთრებით დიდი პრეტენზიებია ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მიმართ. აქ საკითხი მატერიალურ გეგმის შესრულების მაჩვენებლებით როდი შემოიფარგლება. საქმე ის არის, რომ ამ სფეროში მეტად დაბალია მომსახურების კულტურა, ადგილი აქვს უხეშობას, აკუიობას, მომხმარებლის შეურაცხყოფის. ფასების პოლიტიკის დარღვევის, ზომა-წონაში მოტყუების, გაფლანგვა-დატაცების, მექრთამეობის, გამომძალველობის შემთხვევებს. ეს შეუწყნარებელია.

სუსტია მომსახურების სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საჭიროა ამ სფეროში კადრების განახლება. სწორად აქ გაკეთდება კომუნისტების, კომკავშირელების, პატიოსანი მოქალაქეების შრომა. ჩვენ პროპაგანდა უნდა გაუწიოთ ამ დარგის მოწინავეთა შრომას.

მკვეთრ გარდატეხას უნდა მივაღწიოთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სფეროში. ამ დარგში ჯერ კიდევ არა გვაქვს დამყარებული ბოლმეგიკური წესრიგი. ეს არ შეშვენით საბჭოთა აჭარას და ბის შრომელებს, არ ეპატიება მის ხელმძღვანელობას.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ სახალხო მეურნეობის მართვის პრობლემებზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარაში არსებობს განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობები მათი წარმატებით გადაჭრისათვის. უპირველეს ყოვლისა ჩვენ ბედნიერებად გვაქვს ის დიდი და სერიოზული სამმართველო აპარატი, რომელიც წარმოდგენილია პარტიის, მთავრობის, სამეურნეო, საკანონმდებლო და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების სახით. აქ უფრო მრავალრიცხოვანი აპარატია, ვიდრე საქართველოს რომელიმე სხვა რეგიონში, რაიონსა თუ ქალაქში. ეს უპირატესობა უნდა ვლინდებოდეს აჭარის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს თვისებრივ შოსაკემფრნი.

ჯერჯერობით ასე როდია საქმე. ეტყობა, აჭარის პარტიული ორგანიზაციები, ჯერ კიდევ ვერ წყვეტენ თანამედროვე დონეზე სამმართველო აპარატების საქმიანობისა და ამ აპარატებში დაკავებული ამხანაგების შრომის ეფექტიანად გამოყენების პრობლემას. და ვერც გადაწყვეტენ, სანამ არ დაძლევენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობადი ზერელე დამოკიდებულებას, სანამ უფრო ღრმად არ ჩაესწვდებიან ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების არსს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი სამეურნეო და აგრო მარტო სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაობს ძველებურად, ხელმძღვანელობს ამა თუ იმ საწარმოს ან ობიექტს ზოგადად და სხვისა შორის. ეს ყოველდ შეუთავსებელია პარტიის მოთხოვნებთან.

საჭიროა ძირფესვიანად გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაცია. დაინერგოს პრაქტიკაში შრომისა და წარმოების, ეკონომიკის მართვის მეცნიერული ორგანიზაცია.

როდესაც ვლაპარაკობთ აჭარის რესპუბლიკაზე და მის სახალხო მეურნეობასა და კულტურაზე, ჩვენ ძალ განვიხილავთ როგორც საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ორგანულ შემადგენელ ნაწილს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონს, რომელიც დიდი ხვედრითი წონა აქვს ჩვენს ეკონომიკასა და კულტურაში. უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული რეზერვი, მივაღწიოთ იმას, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს აჭარის ხვედრითი წონა საქართველოს სახალხო მეურნეობაში.

აჭარის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი მდგომარეობაა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად იმ ჩაგრდნებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში პარტიის თბილისის კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღებამდე. მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა ამ დადგენილებისა და მისი განხორციელებისათვის საქართველოს კომპარტიის მიერ დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაწევის შედეგად. საჭმე სწორდება და მიცნიერული პროგნოზირების საფუძველზე ვასკვნით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ხუთწლედის ყველა ორნისიძეები უეჭველად შესრულდება.

სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში. მაგალითად, მეჩაიეობის დარგში უკეი გასულ წელს, ე. ი. ხუთწლედის მესამე წელს აკიდეთ მე-9 ხუთწლედის ბოლო წლისთვის დაგეგმილი მოჭაჭა. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 290 ათასი ტონა მწვანე ოქრო. ამ გამარჯვებაში დიდია აჭარის სოფლის მშრომელთა, აჭარელ მეჩაიეთა წვლილი და დღეს ამ ტრიბუნიდან დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ თქვენ, მზიური აჭარის სახელოვანო მეჩაიეებო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით.

სახელი და დიდება თქვენ, აჭარელო მეჩაიეებო, ჩაის უხვი მოსავლის დიდოსტატებო!

ბუნებრივია, როცა ჩვენ ვაკეთებთ გაბედულ პროგნოზებს მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის დირექტივების უთუო შესრულების თაობაზე. ვეყრდნობით ორსაბჭოთა მდგომარეობის მეცნიერულ ანალიზს.

რესპუბლიკის მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის იანვრის გეგმა შეასრულა 101,7 პროცენტით, გამოუშვა 405,4 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც 1973 წლის იანვრის მაჩვენებლებს ჭარბობს 8,5 პროცენტით.

ის ფაქტი, რომ 1974 წლის იანვრის გეგმა თითქმის ათი პროცენტით ჭარბობს გასული წლის შესაბამისი პერიოდის დაკალებას, და მიუხედავად ამისა, იგი მაინც 8,5 პროცენტით იქნა გადაჭარბებული, მკაფიოდ მოწმობს, რომ 1974 სამეურნეო წელი რესპუბლიკის მრეწველობამ წარმატებით დაიწყო.

ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დაბალია შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე პროდუქციის გამოშვების ზრდის მაჩვენებელი. ისიც უნდა ითქვას, რომ თუ 1973 წელს რესპუბლიკის 54 საწარმომ ვერ შეასრულა წლიური გეგმა, 1974 წლის იანვარში ეს რიცხვი 90-მდე გაზარდა.

გარკვეული სამუშაოები ჩატარდა იანვარში სოფლის მეურნეობის დარგში. საფუძველი ჩაეყარა 1974 წლის კარგ მოსავალს, დათესილია 182 ათასი ჰექტარი ზუხმოსავლიანი ჯიშის საშემოდგომო ხორბალი, ქერი და ჭვავი, ნიადაგში შეტანილია გაკეთებით მეტი მინერალური სასუქი, ვიდრე წინა წლებში. დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი, ძირითადად დამაკმაყოფილებელად მიმდინარეობს პიოტუყვის გაზაფხამორება. 1974 წლის იანვარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხორცის წარმოება გაიზარდა 14 პროცენტით, რძისა — 15 პროცენტით.

მაგრამ ერთგვარ შეშფოთებას იწვევს კაპიტალური მშენებლობის, განსაკუთრებით სახანაო მშენებლობის მდგომარეობა. არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა მომსახურების სფეროშიც. მაგალითად, იანვარში სახელმწიფო და კოოპერაციული საქონლებრუნვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 93,8 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ქსელმა გეგმა კიდევ უფრო უარესად — 98,5 პროცენტით შეასრულა, ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ წელს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე გასული წლის იანვარში, საქონელბრუნვის ზრდის ტემპი 1974 წლის იანვრის დაგეგმილ ტემპს ჩამორჩება. ამან შეიძლება ეშეკვეშ დაიყენოს კვარტალური გეგმის შესრულების რეალობა. (ეფექ მდგომარეობა ვგვაქვს საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროშიც. იანვრის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 93,3 პროცენტით, მათ შორის ქალაქად — 99 პროცენტით, სოფლად — 96 პროცენტით.

ამრიგად, ძარღვი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში შეიმჩნევა, მაგრამ დამეთანხმებითო, ძნელია ერთბაშად ორი დიდი პრობლემის გადაწყვეტა — დაწინაურება ყველა იმ უბნისა, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში იყო უკანასკნელ წლების მანძილზე და განსაკუთრებით მიმდინარე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში, ესე იგი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი. დადგენილების მიღებამდე და, მეორეც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ჩამორჩენა ეურადღებას გავლენას ახდენდა ხუთწლედის მომდევნო წლების გეგმების შესრულებაზე და ზრდის ტემპის დაჩქარებაზე, რადგანაც ხუთწლედის მომდევნო წლების ზრდის ტემპის დაგეგმვისას მხედველობაში იყო მიღებული არა ჩამორჩენა, არამედ ხუთწლედის პირველი ორი წლის დაკალებათა უთუო შესრულება. როგორც მოგახსენებთ, ასე არ მოხდა. ამიტომ ახლა იძულებულნი ვართ ვაკეთოთ თითქმის შეუძლებელი: ვიმუშაოთ არა იმ ტემპით, რომელიც ხუთწლედის მესამე, მეოთხე და მეხუთე წლებისათვის დაგეგმილი იყო, არამედ ამ დაგეგმილ ტემპზე გაცილებით სწრაფად, რათა დავძლიოთ ჩამორჩენა და შევასრულოთ ხუთწლედის დირექტივები.

დღეს ჩვენ, რადაც უნდა დავიჯდეს, სწორედ ასეთი ტემპით უნდა ვიმუშაოთ.

საჭიროა ყველა უბანზე, ყველა რეგიონში ხუთწლედის ტემპის დაჩქარება. მეტად დაძაბული გეგმების მიღების გზით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხუთწლედის დავალებათა შესრულებას ყველა მაჩვენებლის მიხედვით. თუ ვერ შეძლით მიეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულება, ეს საფრთხის შეიქმნის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებას მეათე ხუთწლედში.

ჩვენს რესპუბლიკას, ამხანაგებო, სწორედ დაჩქარებული განვითარება სჭირდება, რადგანაც დიდია და მძიმე წარსული წლების ტვირთი, ჩამორჩენის ტვირთი.

თქვენ იცით, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამ დღეებში მიიტანს ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული მნიშვნელობის დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების შესახებ. ეს უმნიშვნელოვანესი, რესპუბლიკისათვის ეპოქალური დოკუმენტი მრავალმხრივ არის საყურადღებო. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მოკვიმულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სწორი მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკური ანალიზი. როგორც თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, ეს დადგენილება სახალხო მეურნეობის განვითარების დადებითი ტენდენციების შეფასებასთან ერთად იძლევა იმ ნეგატიური მოვლენების კონსტატაციას, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე. რამდენადაც ამ შეფასებას პირდაპირი კავშირი აქვს აჭარის სახალხო მეურნეობის განვითარების პრობლემებთანაც.

მოკლედ შევჩერდები მათზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა აღნიშნავენ, რომ შენელდა რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი, შემცირდა მისი ხვედრითი წონა საკავშირო მასშტაბით. ეს ნეგატიური მოვლენები გარკვეულ წილად განპირობა უკანასკნელ წლებში აჭარის ასსრ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის შენელებამაც. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში სათანადოდ არ ითვალისწინებოდა მანქანათმშენებლობის ინალითინტენსივები დარგები.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საკავშირო მთავრობა, ეს ამბ. ე. ა. შევარდნაძემ, საქართველოს კომპარტიას აიარაღებენ მეცნიერული პროგრამით, თუ როგორ უნდა განვითარდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა 1976-1980 წლებში, მეათე ხუთწლედში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს იმედს, რომ აჭარის პარტიული ორგანიზაცია წარმატებით გაართმევს თავს ამ ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას.

საჭიროა ახლავე შეიჭიდგეთ ის სტრატეგიული ხაზის ხორცშესხმის მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული გეგმის შემუშავებას და რეალიზაციას აჭარის პირობებში, რომელიც მეათე ხუთწლედში უნდა განახორციელონ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საკავშირო მთავრობამ.

ამხანაგმა შევარდნაძემ დაწერილებთ ილაპარაკა იმაზე, თუ რას მისცემს რესპუბლიკას საქართველოს სს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის ისტორიული დადგენილების განხორციელება. რესპუბლიკაში აშენდება ორმოცი და რეკონსტრუქრებულ იქნება ოცზე მეტი საწარმო. მან ილაპარაკა იმ დიდ პერსპექტივებზე, რომელებსაც ეს დადგენილება უსახავს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, კერძოდ, დადგენილებაში გათვალისწინებულია, რომ ციტრუსების წარმოების დონე გაიზარდოს წელიწადში 110-120 ათასი ტონით და მეტად. თუ გავითვალისწინებთ აჭარის როლს რესპუბლიკის სუბტროპიკულ მეურნეობაში, ძნელი არ იქნება წარმოვიდგინოთ, რა დიდი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა აჭარამ ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტაში — იგი ხომ საქართველოს მთავარი, წამყვანი მეციტრუსეობის რაიონია. მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იქნება სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების შემდგომი განვითარება, როგორიცაა მეთამბაქოეობა, მეკვნეხინობა, მეაბრეშუმეობა, და. განსაკუთრებით, მეცხვარეობა. აჭარელმა მშრომელებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ამ საქმეში.

პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილებით დასახულია გრანდიოზული სამშენაო ბანაობა კოლხეთის დაბლობის მთლიანად ათვისების მიზნით. გათვალისწინებულია რესპუბლიკის მთიანი რაიონების მოსახლეობის შრომითი მოწყობის პრობლემის გადასაწყვეტად, ამ რაიონების ეკონომიური აღმავლობისა და კულტურული აყვავების მიღწევის ღონისძიებათა კომპლექსი. ამ ღონისძიებების დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ აჭარის მთიანი რაიონების შემდგომი განვითარებისათვის, სადაც ცხოვრობენ შესანიშნავი, თავმდაბალი და შრომისმოყვარე ადამიანები, მუდამ ენერგიულობის, რომ მთიანი რელიეფის, მიწის სიმცირისა და მთელი რიგი სხვა ფაქტორების გამო ისინი მუშაობენ და ცხოვრობენ საკმაოდ ძნელ პირობებში. მით უფრო მეტი ყურადღებით, მზრუნველობითა და ადამიანური სითბოთი უნდა მოეკიდოს მათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი. მათ უნდა დაეხმართ ჩვენი შესაძლებლობისა და რესურსების თვრგლებში, რათა კიდევ უფრო განავითარონ თავიანთი ეკონომიკა და კულტურა. ეს ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებაში დასახულია აჭარის საკურორტო ზონების მომარაგების შემდგომი გაუმჯობესებისა გრანდიოზული ღონისძიებანი. დიდი ძვრები მოხდება რესპუბლიკის საკურორტო და ტურისტული მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დარგში. აშენდება და საქმესლოატაციოდ გადაეცემა სანიტარიულ-საკურორტო და ტურისტული დაწესებულებების ქსელი 16.300 ადგილით.

აჭარა — საბჭოთა ქვეყნის კურორტების ეს მარგალიტი გადაიქცევა საკავშირო და მსოფლიო მნიშვნელობის საკურორტო ზონად. ორატორმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მომსახურების კულტურის შემდგომ ამაღლებას, მომსახურების სფეროს, კერძოდ, ფასების სოფსათით მომარაგების გაუმჯობესებას.

ბოლოს ეს წლებში ბათუმი და ქობულეთი გახდებიან საქართველოსა და მთელი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ულამესი საკურორტო ცენტრები. დასახულია დიდი პროგრამა. მახინჯაურის, მწვანე კონცხის, ციხისძირისა და აჭარის სხვა საკურორტო ადგილების შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის.

დადგენილებაში პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ 1976-1980 წლებში ბათუმის ნავსადგურში უნდა აშენდეს სამგზაური ნავმისადგომი იმ ვარაუდით, რომ აჭარის დედაქალაქს შეეძლოს თანამედროვე კულტურის დონეზე მოემსახუროს საერთაშორისო და ადგილობრივი საზღვაო მარშრუტების მგზავრებსა და გემებს.

მწვანე კონცხზე აშენდება პუნქტი ადგილობრივი საზღვაო-სამგზაური ხაზების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ფანხორციელდება ნაპირის გასამაგრებელი დიდი სამუშაოები.

ამ დადგენილების განხორციელება მაშინაა შესაძლებელი, თუ საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქი, ქალაქები, რაიონები, ყველა მისი საწარმო, ორგანიზაცია, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, ყველა ბრიგადა და რგოლი, თვითეული მშრომელი შეასრულებენ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშეა დასახული მეცხრე ხუთწლედის პროგრამით.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის დირექტივებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გეგმების განხორციელების მტკიცე გარანტიაა მთელი ორგანიზაციული-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. მთელი ეს მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების განხორციელების ბაზაზე.

აჭარის საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა გასწია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა და კიდევ დიდი მუშაობა მოგვიანეს ამ დადგენილების ყველა მოთხოვნის განხორციელებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აჭარის მთელი პარტიული, ორგანიზაციისაგან მოითხოვს პარტიული ცხოვრებისა და ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებისა და პრინციპების განხორციელად განხორციელებას. ამისათვის საჭიროა ორგანიზაციულად და იდეურად განვამტკიცოთ ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია და პარტიკომი, ავამაღლოთ მათი ბრძოლისუნარიანობა, გავზარდოთ კომუნისტების ავანგარდული როლი კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. საჭიროა უკეთ განვავითაროთ და გამოვიყენოთ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები, კოლეგიალობა და კოლეგიტიურობა, განვამტკიცოთ შინაპარტიული დემოკრატია და პარტიული დისციპლინა.

ძირფესვიანად უნდა გაუმჯობესდეს კადრების შერჩევა, აღზრდა და განაწილება, ბოლო უნდა მოეღოს ძმაბიჭობის, ნაცნობობის, ქრთამის, ნათლიმამობის, „საერო" ადამიანებთან ნათესაური კავშირის პრინციპით ბინძ ადგილზე მოწყობის მავნე, არაპარტიულ, არალენინურ პრაქტიკას. უფრო გაბედულად უნდა დავწინაურთოთ ახალგაზრდობა, ქალები, ყოველნაირად გავადიდოთ კადრების პერსონალური პასუხისმგებლობა.

აჭარაში კადრების შერჩევისა და განაწილების დარგში ბევრი დარღვევა იყო. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ დავამყაროთ ამ ბოლოშვიეური წესრიგი კადრებთან მუშაობის დარგში.

შემდეგ ორატორმა თქვა, რომ ძირფესვიანად უნდა გარდაიქმნას მთელი პარტიულ-პოლიტიკური ერ ი ადეოლოგიური მუშაობა. რათა განხორციელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციებზე, ორ ბიუროს ინსტრუქციებზე, ორ ბიუროს ინსტრ. ბ. ბ. ბ

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას — დიდი მწარმოებლობა

„ყაზახეთის სსრ, ბელორუსიის სსრ და როსტოვის ოლქის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, „სოფლტექნიკის“ გაერთიანებების მექანიზატორთა სოციალისტური ვალდებულებანი

ყაზახეთის სსრ რესპუბლიკის, ბელორუსიის სსრ რესპუბლიკის, როსტოვის ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებმა, „სოფლტექნიკის“ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად გადაწყვიტეს 1974 წელი აღნიშნონ დამკვრელური შრომით და წამოაყენეს წინადადება ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დიდმწარმოებლური გამოყენებისათვის.

მანქანა-მექანიზმების გამოყენების გაუმჯობესებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედების კულტურისათვის, მინდვრის სამუშაოთა ვადების შემცირებისა და ხარისხის ამაღლებისათვის, უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

მექანიზატორები თავიანთ ამოცანად ისახავენ ამოქმედონ მანქანა-ტრაქტორთა პარკის მწარმოებლობის ამაღლების ყველა რეზერვი: დროულად და მაღალხარისხოვნად შეაკეთონ ტექნიკა, მინდვრის სამუშაოებისათვის, უზრუნველყონ დაძაბულ პერიოდში მანქანა-ტრაქტორთა ავრეგატების ორ ცვლად მუშაობა, მოამზადონ საამისოდ საჭირო რაოდენობის კადრები, დაეუფლონ შრომის მოწინავე ხერხებს, აიმაღლონ საწარმოო კვალიფიკაცია.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტექნიკური მომსახურების პროგრესულია ფორმების დანერგვას მანქანების ექსპლოატაციისა და მოვლის წესების განუხრელ დაცვას, ტექნიკის გაფრთხილებას, მისი შენახვის საჭირო პირობების შექმნას, რათა გაიზარდოს მანქანათა სამსახურის ვადა, თავიდან იქნეს აცილებული მათი ნაადრევი ჩამოწერა, შეეცირდეს რემონტის ხარჯები.

შეჯიბრების ინიციატორებმა იკისრეს შემდეგი კონკრეტული ვალდებულებანი:

ყაზახეთის სსრ-ში: გაზარდონ შარშანდელთან შედარებით ტრაქტორთა პარკის მწარმოებლობა 5 პროცენტით, ამასთან 10 პროცენტით გაადიდონ მარცვალსამდები კომბაინების საშუალო გამომუშავება ცვლაში. ეს მექანიზატორებს საშუალებას მისცემს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მოაწყონ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში: თავთავიანი კულტურების საგაზაფხულო თესვა დაამთავრონ 8-10. პურეულის მოსავლის აღება კი 18-20 სამუშაო დღეში. მიიღწიონ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მაღალ ხარისხს, ამასთან გაითვალისწინონ, რომ თესვისწინა დამუშავების, თესვის, მოსავლის აღების, აღებისშემდგომი სამუშაოების, მზრალისა და ანეულის ზვნის მოწყობისას აგროტექნიკური მოთხოვნების მკაცრად დაცვა მოსავლიანობის ზრდისა და პროდუქციის დანაკარგების თავიდან აცილების დიდმნიშვნელოვანი პირობაა;

დაამთავრონ ტრაქტორებისა და ნიადაგდასამუშავებელი მანქანების რემონტი სამხრეთ ზონაში თებერვლის მესამე დეკადაში, დანარჩენ ოლქებში — 15 აპრილს, თივის ასაღები ტექნიკის რემონტი სამხრეთ ზონაში — 1 მაისს, სხვა ოლქებში — 20 ივნისს, სამარცვლე, სილოსასაღები კომბაინების, სამკელების, სხვა მოსავლის ასაღები ტექნიკისა და მარცვალსაწმენდი მანქანების შეკეთება სამხრეთ ოლქებში — 20 მაისს, დანარჩენ ოლქებში — 20 ივნისს. მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტზე დაზოგონ სახსრების 2,5 პროცენტი;

ტრაქტორების ტექნიკური მზადყოფნა გაზარდონ 93 პროცენტამდე, კომბაინებისა — 100 პროცენტამდე;

უფრო სრულად გამოიყენონ „ყაზხოფლტექნიკის“ საწარმოთა სიმძლავრენი, უზრუნველყონ სისტემის ყველა საწარმოს მიერ წლიური გეგმის შესრულება 27 დეკემბრისათვის და გამოუშვან 2,6 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. გაფართოონ აგრეგატებისა და კვანძების რემონტი, დაცვეთილი დეტალების აღდგენა, გაუაჯარებლონ მეურნეობათა მომარაგება სათადარიგო ნაწილებითა და მასალებით. აამაღლონ რემონტის ხარისხი. უზრუნველყონ შეკეთებული მანქანების შემობის საგარანტიო ვადები, იბრძოლონ მათი რესურსის ზრდისათვის.

უზრუნველყონ მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატების საიმედო, შეუფერხებელი მუშაობა, არ დაუშვან მანქანების მოცდენა, მოაწყონ მათი მაღალკვალიფიციური ტექნიკური მომსახურება, ამ მიზნით მინდვრის სამუშაოთა მოწყობის პერიოდისათვის შექმნან გამმართველი ოსტატთა 5.800 რგოლი;

მოსავლის აღების ვადების შემცირებისა და ზოსავლის ასაღები ტექნიკის, ავტოტრანსპორტის უკეთ გამოყენებისათვის შექმნან მსხვილაგუფური მეთოდით მომუშავე კომბაინერებისა და მოფორების 1.500 კომპლექსური ბრიგადა, აგრეთვე 500 ბრიგადა, რომლებიც მარცვლეულის ტრანსპორტირებისას გამოიყენებენ მისაბმელიან ტრაქტორებს. შექმნან დიდტვირთიანი ავტომობილებისა და ავტომატარებლების 8 ათასი ავტორაზმი მარცვლეულის გადასაზიდად;

რესპუბლიკის მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სამრეწველო საწარმოებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მომზადონ 120 ათასი მექანიზატორი, რათა უზრუნველყონ მძიმე სახნავი ტრაქტორების ორ ცვლად მუშაობა. ორგანიზაცია გაუწიონ 20 ათასი ტრაქტორისტის გადამზადებას მათთვის უფრო მაღალი კლასის მისაკუთვნებლად;

მტკიცედ დაიცვან ტექნიკის შენახვის წესები. ყოველწლიურად ეცადონ მანქანათაგვის შემცირებას, არ დაუშვან მათი ნაადრევი ჩამოწერა. დაამთავრონ მუშაობა, რომლის მიზანია ყოველ მეურნეობაში შეიქმნას მანქანათა ეზოები ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახი პროფილირებული მოედნებით. ააშენონ და განაახლონ მიდნინარე წელს 175 ტექნიკური მომსახურების სტაციონარული პუნქტი საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში;

გაუაჯარებლონ ნავობპროდუქტების შენახვა და გამოყენება. მექანიზებულ დახურულ გაწყობაზე გადაიყვანონ ტრაქტორების 80 პროცენტი და ყველა მარცვალსამდები კომბაინი. დაზოგონ სულ ცოტა 60 ათასი ტონა საწვავ-საზეთი მასალები;

ყოველ საგელე ბანაკში შეუქმნან სათანადო საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრები პირობები მექანიზატორებს, მოაწყონ წითელი კუთხეები და სასადილოები.

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში: მიიღწიონ ტრაქტორების, დღიური მწარმოებლობის გადიდებას 5 პროცენტით. მარცვალსამდები კომბაინისა და სხვა მანქანებისა — 6 პროცენტით. მოაწყონ მინდვრის მთელი სამუშაოები საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, უზრუნველყონ მათი მაღალი ხარისხი;

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, ყაზახეთის სს რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის და როსტოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მექანიზატორები ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, „სოფლტექნიკის“ საწარმოებისა და ორგანიზაციების ყველა მექანიზატორსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს მოუწოდებენ ამრავლონ მეცადინეობა და ღირსეული წვლილი შეიტანონ პარტიის XXIV კრებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

მექანიზატორები სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვამენ, რომ აამოქმედებენ ყველა რეზერვს, მთელ თავიანთ გამოცდილებას და ოსტატობას მოახმარენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდის 1974 წლის გეგმების წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

მეშვიდობის არმია

(დასასრული)

საბჭოთა სამშობლოსათვის თავდადებით, სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების მეომრები. საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ფაშისტებს მუსრს ავლებდნენ ომის წლებში შექმნილი ნაწილები. მათ შორის — ქართული, აზერბაიჯანული, სომხური, ყაზახური, ლატვიური, ლიტვური, ესტონური შენაერთები და ნაწილები, რომელთა მეომრებმა მასობრივი გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს. ამას თვალსაჩინოდ მოწმობს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა 100-ზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს. მათ შორის არიან საქართველოს „ბულადი შვილები“ კ. ლულელიძე, მ. ქანთარია, ნ. გოგიჩაიშვილი, ვ. კანკავა, ვ. ლურსმანაშვილი, ა. პირმისაშვილი და ბევრი სხვა.

ომის ქარ-იაფლში გამოიწვრთო შესანიშნავი სამხედრო კადრები, მხედართმთავართა პლეადა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს სამშობლოს თვალსაჩინო სამხედრო ოპერაციების ორგანიზაციითა და განხორციელებით.

დიდი სამამულო ომის მიერ წამოყენებული ამოცანების სიმაღლეზე იყო შეიარაღებული ძალების მართვის სისტემა, რომელსაც მეთაურობდა უმაღლესი მთავარსარდლობის განყო. უმაღლესი მთავარსარდალი იყო ი. ბ. სტალინი.

ჩვენი ჯარისკაცების გადამწყვეტ წყაროს წარმოადგენდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, რომელმაც დარაზმა, შეთაავონა და იდეურად შეიარაღა საბჭოთა ხალხი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დაიცვეს სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გადამწყვეტი როლი შეასრულეს ფაშისტური მონობისაგან ევროპისა და აზიის ხალხთა განთავისუფლებაში.

ომამდელმა პერიოდში საბჭოთა შეიარაღებული ძალები საიმედოდ იცავენ სოციალისტური სამშობლოს სახელმწიფო ინტერესებს, იმპერიალიზმის აგრესიულობის ზრდამ, ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების რეალურმა საფრთხემ მოითხოვეს უმაღლესი შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

50-იანი წლების შუა ხანებში იწყება ახალი ეტაპი საბჭოთა შეიარაღებული ძალების ცხოვრებაში, რომელიც დღემდე გრძელდება, იგი დაკავშირებულია იმასთან, რომ შიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაცია—ვარშავის ხელშეკრულება, სსრ კავშირში აშენდა განვითარებული სოციალიზმი, სწრაფი ტემპით განვითარდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია.

საბჭოთა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებათა საფუძველზე, მუშათა, ინჟინერთა, მეცნიერთა თავდადებული შრომის შედეგად არმია და ფლოტი უზრუნველყოფილია ყოველივე იმით, რაც საჭიროა საბჭოთა სახელმწიფოს საიმედო დაცვისათვის. კვლავ განვითარდა და კიდევ უფრო მძლავრი გახდა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები. ისინი ღირსეულად ასრულებენ ყოველგვარი აგრესორის შეკავების მთავარი ძალის როლს.

კვლავ მიმდინარეობს თვისებრივი ცვლილებანი ყველა გვარეობის შეიარაღებულ ძალებში. გაიზარდა სახმელეთო ჯარების მანევრულობა, მათი პირადი შემადგენლობის შეჯავშნის პროცენტი.

ახლა უფრო. ვიდრე ოდესმე გაიზარდა ქვეყნის საპაერო თავდაცვის ჯარების საბრძოლო შესაძლებლობანი. ისინი შეიარაღებულია ერიან ახალი დიდად ეფექტიანი სარაკეტო კომპლექტებით, ზიბგერითი დამიზნი ავიაგამანადგურებლებით, თანამედროვე რადიოსალოკაციო სადგურებით, მართვის ავტომატიზებული სისტემებითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით.

ახლი თვისებები შეიძინა სამხედრო-საზღვაო ფლოტმა. მის საფუძვლს შიადგენენ ატომური ყვალჭიანი რაკეტმზიდი ნავები. ოლოჯს შეუძლია სტრატეგიული ამოცანები გადაწყვიტოს მსოფლიო ოკეანის ყოველ რაიონში.

უზარმაზარია საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო-ტექნიკური შესაძლებლობანი. მაგრამ, როგორც აღინიშნა სკკპ XXIV ყრილობაზი, მთავარ ძალას შიადგენენ ადამიანები — ჩვენი შესანიშნავი მეომრები, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ საბრძოლო ტექნიკას, კომუნისტური პარტიის, თავიანთი სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული არიან. არმიის პირადი შემადგენლობის დაახლოებით ნახევარს უმაღლესი ოა საშუალო განათლება აქვს. მეომართა უმრავლესობა ფლობს ჯერ კიდევ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მიღებულ ამა თუ იმ ტექნიკურ სპეციალობას.

ჩვენი შეიარაღებული ძალების ოქროს ფონდია ოფიცერთა კადრები. მნიშვნელოვნად ამაღლდა მათი იდეურ-პოლიტიკური დონე. გაიზარდა საერთო კულტურა და პროფესიული ოსტატობა. უმაღლესი სამხედრო და სპეციალური განათლების მქონე ოფიცერთა რიცხვი უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე გაორკეცდა. ოფიცერთა თანამდებობის 45-მდე პროცენტი არმიასა და ფლოტში ინჟინრებსა და ტექნიკოსებს უკავიათ.

სამხედრო კოლექტივების შემდუღაბებელი ძალა, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების მთავარი დასაყრდენი ყველა ამოცანის გადაწყვეტაში მუდამ იყვნენ და არიან კომუნისტები და კომკავშირელები, რომლებიც პირადი შემადგენლობის 80 პროცენტზე მეტს შეადგენენ.

„და დღესაც ჩვენი შეიარაღებული ძალები სოციალისტური სამშობლოს საიმედო ფარია. კომუნიზმის მშენებელი ხალხის მშვიდობიანი შრომის გარანტიაა, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა. — საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს და უყვარს თავისი არმია, ესმის, რომ სანამ დედამიწაზე არიან აგრესიის ძალები, კარგად აღჭურვილი არმიის ყოლა აუცილებელია. ჩვენი არმია განსაკუთრებული არმიაა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი არის ინტერნაციონალიზმის სკოლა, საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ძმობის, სოლიდარობისა და ურთიერთპატივცემის სკოლა. ჩვენი შეიარაღებული ძალები არის ერთიანი შეთანხმებული ოჯახი, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ცოცხალი ხორცშესხმა“.

ახორციელებენ რა სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებულ მშვიდობის პროგრამას, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა განახორციელეს მთელი რიგი საგარეოპოლიტიკური აქციები, რომელთა შედეგად მსოფლიოში მოხდა შემობრუნება „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ, სამხედრო კონფრონტაციიდან უშიშროების განმტკიცებისაკენ, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობისაკენ. ამ ღონისძიებებს მაღალი შეფასება მისცა და მხარი დაუჭირა ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და სოციალიზმის საქმე.

ისე როგორც ნებისმიერ ეროვნულ ძალებმა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარებმა გასულ სასწავლო წელს ნაბიჯი გადადგეს წინ საბრძოლო ოსტატობის სრულყოფის გზაზე. ყველა მოწყობილ წვრთნაზე პირადი შემადგენლობა მოქმედებდა უნარიანად და ორგანიზებულად, ძალების მთელი დაძაბვით. კიდევ უფრო ამაღლდა მისი საველე გაწვრთნილობა. ახლა მეომრები უწინდელზე უკეთ იყენებენ იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას, მანევრსა და ცეცხლს, მედგრად უძლებენ ხანგრძლივ საბრძოლო დაძაბულობას, გულდაჯერებით წყვეტენ მოულოდნელად წამოჭრილ ამოცანებს. მეთაურებმა და შტაბებმა შესამჩნევად გაიფართოვეს თავიანთი ცოდნა და ჩვენები ჯარების მართვაში.

რთული და პასუხსაგები ამოცანებია დასახული ოლქის ჯარების წინაშე, ისევე როგორც მთელი შეიარაღებული ძალების წინაშე 1974 სასწავლო წელს. მეთაურები, შტაბები, პოლიტორგანოები არ ანელებენ დაძაბულობას საბრძოლო წვრთნაში და მთელ თავიანთ მეცადინეობას ახმარენ ჭეშმარიტ ოსტატობას და ნაწილების მომზადებაში თვისებრივი მაჩვენებლების ამაღლებას, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის შესწავლას, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას, განსაკუთრებით რთული სასწავლო-საბრძოლო ამოცანების დამუშავებას, ჯარების მუდმივი და მაღალი საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფას.

ზამთრის წვრთნის პირველი თვეების შედეგები მოწმობენ, რომ ოლქის პირადი შემადგენლობა მხარდამხარ - მიჰყავს მეორე ნაბიჯს, რომელიც [illegible] თანამედროვე [illegible] წლის დაფალებათა მეცხრეტბისათვის. საწვრთნელი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას ხელს უწყობს საპაერო თავდაცვის ჯარდიფული საზენიტო სარაკეტო სმოლენსკის წითელდროშოვანი, სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენსანი პოლკის პირადი შემადგენლობის თანსწორი ჯაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, რომლის წამყვანი მიმართულებაა საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი ამაღლება, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის საუკეთო ცოდნა და მოვლა.

ჯარების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას ბევრად უწყობს ხელს ჯარის ნაწილებს, ქვეგანაყოფებსა და რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივებს შორის დამყარებული მჭიდრო ურთიერთობა, შეხვედრები პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და ხალოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, წარმოების მოწინავეებთან, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებთან. რდეგულად ამდიდრებენ მეომრებს, ეხმარებიან უფრო ღრმად შეიგნონ თავიანთი პასუხისმგებლობა და უკეთ მოიხადონ წმიდათაწმიდა ვალი სამშობლოს წინაშე.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, ჩვენი სამშობლოს ღირსეულ დამცველთა აღზრდაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავდაცვითმასობრივ მუშაობას მოსახლეობაში, ამ საერთო-სახალხო საქმეში დიდ როლს ასრულებენ კომკავშირი, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციები, საზოგადოება „ცოფნა“, ომის ვეტერანთა ორგანიზაციები.

საბჭოთა მეომრები დღენიადაგ განმტკიცებენ ძმურ მეგობრობას ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების არმიებთან. ერთობლივი წვრთნის დროს ისინი მჭიდრო კონტაქტით წყვეტენ პასუხსაგებ საბრძოლო ამოცანებს თანამედროვე ომის რთულ პირობებში.

საბჭოთა სამშობლოს დამცველები — უფროს თაობათა მეომრების სახელოვანი საბრძოლო ტრადიციებს მეშვიდრენი და განმეორებნი, პარტიისა და ხალხის ზრუნვით გარემოცული, კომუნისტური პარტიის გარშემო მტკიცედ შეკავშირებულნი, მუდამ მზად არიან ბოლომდე შესრულონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობა საყვარელი სამშობლოსა და მსოფლიო სოციალიზმის დაცვისათვის და მოძმე არმიებთან ერთად შემუსრონ ყოველი აგრესორი, რომელიც გაბედავს და ხელყოფს სოციალისტურ და კომუნისტურ მონაპოვრებს.

ულიანოვსკის წითელდროშოვანი, ორგზის წითელი ვარსკვლავის ორდენსანი უმაღლესი სატანკო სასწავლებელი ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავს აღნიშნავს.

ამ სასწავლებელში აღიზარდა მრავალი ცნობილი სამხედრო მეთაური, რომლებმაც ბევრჯერ ასახელეს სამშობლო საგმირო საქმეებით.

სურათზე: ტანკისტი კურსანტები ლაშქრობაზე.

სპეციალური ფოტოქრონიკა.



ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 36 1974 წ. 23 თებერვალი ქ. მოსკოვი

ამხანაგო საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებო!

ამხანაგო თადარიგისა და ჯადამდგარო არმიისა და ფლოტის ვეტერანებო!

დღეს ჩვენი სამშობლო აღნიშნავს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 56-ე წლისთავს. კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილი და აღზრდილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები თავიანთი სახელოვანი ისტორიის მამძიღნე ღირსეულად ასრულებენ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას. იმპერიალისტის აგრესორთა წინააღმდეგ გაფფრონებულ ბრძოლებში საბჭოთა მეომრები მუდამ იჩენდნენ ერთგულებას კომუნისტური იდეალებისადმი, უმაგალითო ვაჟკაცობასა და გმირობას. ახლა ჩვენი არმია და ფლოტი საიმედოდ იცავენ ხალხის მშვიდობიან შრომას, სოციალიზმის დიდ მონაპოვრებს.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ორმოცდამეექვსეტე წლისთავს საბჭოთა ადამიანები ეგებებიან მაღალი პოლიტიკური აღმავლობისა და შრომითი წარმატებების ვითარებაში კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. მნიშვნელოვანი მიღწევებით აღინიშნა მეცხრე ხუთწლედის მესამე წელი. მეშუთა კლასის თავდადებული შრომის შედეგად ახალი ნაბიჯი გადადგა წინ სოციალისტურმა ინდუსტრიამ. რეკორდული მოსავლით დაგვირგვინდა სოფლის მეურნეობის მშრომელთა გმირული შრომა. განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მეოთხე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და ბეჯითად ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულ მშვიდობის პროგრამას. საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდად აფასებენ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეში უდიდეს წვლილს, რომელიც შეაქვთ ჩვენს ლენინურ პარტიას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. ჩვენი ქვეყნის აქტიური, ინიციატივიანი საგარეო პოლიტიკა, რომელიც მოძმე ქვეყნებთან მჭიდრო ერთიანობით ხორციელდება, კიდევ უფრო განამტკიცებს სოციალისტური თანამეგობრობის შემჭიდროებას, კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს მთელ საერთაშორისო ვითარებაზე.

ამასთან არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ჯერ კიდევ არსებობენ და აქტიურად მოქმედებენ რეაქციული იმპერიალისტური ძალები, რომლებიც ცდილობენ წინააღუდგნენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ზრდიან გამალებულ შეიარაღებას, ამზადებენ სამხედრო ავანტიურებს. ყოველივე ეს აიძულებს ჩვენს ხალხს დაუცხრომლად განამტკიცებდეს ქვეყნის თავდაცვასა და შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერებას. სოციალისტური სამშობლოსა და კომუნისტური პარტიის უსაზღვროდ ერთგული საბჭოთა მეომრები ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების არმიებთან ურღვევი ერთიანობით ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოსა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროების სადარაჯოზე.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდებლებო!

ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო არმიისა და ფლოტის ვეტერანებო!

გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 56-ე წლისთავს. გისურვებთ წარმატებებს მიმდინარე სასწავლო წლის რთული და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის დაუფლებაში, სავლეკ, საფრენოსნო და საზღვაო გაწვრთნილობის სრულყოფაში.

არმიისა და ფლოტის მეომრებო! ბეჯითად იბრძოლეთ ნაწილების, ხომალდებისა და შენაერთების საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი ამაღლებისათვის, იყავით მუდამ მზად, რათა საკადრისი პასუხი გასცეთ ყოველგვარ აგრესიულ ძალებს!

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 56-ე წლისთავის აღსანიშნავად ბრძანებენ:

დღეს, 23 თებერვალს, 20 საათზე ადგილობრივი დროით მოეწყოს სადღესასწაულო ფოიერვერკი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში.

გაუმარჯოს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 56-ე წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს დიად ლენინურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. გრეჩკო.

მთავროგის ჯილდოების გადაცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში გაიმართა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებისათვის, კულტურის მოღვაწეებისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებისა და მედლების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებისა და რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ სიგელების გადაცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილების გამგემ ჯ. კ. ცაგარეიშვილმა წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ დაჯილდოებულთა გადასცა შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის“, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები. სიგელები დამსახურებული ინჟინრისა და დამსახურებული მშენებლის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

ამასთან ერთად ეცნობა ბრძანება, რომლითაც [illegible] თოწლეულის [illegible] წლის დაჯილდოებათა მცირეოდენი [illegible] ვის. საწვრთნელი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას ხელს უწყობს საპაერო თავდაცვის ჯარდიფული საზენიტო სარაკეტო სმოლენსკის წითელდროშოვანი, სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენსანი პოლკის პირადი შემადგენლობის თანსწორი ჯაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, რომლის წამყვანი მიმართულებაა საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი ამაღლება, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის საუკეთო ცოდნა და მოვლა.

ჯარების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას ბევრად უწყობს ხელს ჯარის ნაწილებს, ქვეგანაყოფებსა და რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივებს შორის დამყარებული მჭიდრო ურთიერთობა, შეხვედრები პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და ხალოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, წარმოების მოწინავეებთან, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებთან. რდეგულად ამდიდრებენ მეომრებს, ეხმარებიან უფრო ღრმად შეიგნონ თავიანთი პასუხისმგებლობა და უკეთ მოიხადონ წმიდათაწმიდა ვალი სამშობლოს წინაშე.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, ჩვენი სამშობლოს ღირსეულ დამცველთა აღზრდაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავდაცვითმასობრივ მუშაობას მოსახლეობაში, ამ საერთო-სახალხო საქმეში დიდ როლს ასრულებენ კომკავშირი, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციები, საზოგადოება „ცოფნა“, ომის ვეტერანთა ორგანიზაციები.

საბჭოთა მეომრები დღენიადაგ განმტკიცებენ ძმურ მეგობრობას ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების არმიებთან. ერთობლივი წვრთნის დროს ისინი მჭიდრო კონტაქტით წყვეტენ პასუხსაგებ საბრძოლო ამოცანებს თანამედროვე ომის რთულ პირობებში.

საბჭოთა სამშობლოს დამცველები — უფროს თაობათა მეომრების სახელოვანი საბრძოლო ტრადიციებს მეშვიდრენი და განმეორებნი, პარტიისა და ხალხის ზრუნვით გარემოცული, კომუნისტური პარტიის გარშემო მტკიცედ შეკავშირებულნი, მუდამ მზად არიან ბოლომდე შესრულონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობა საყვარელი სამშობლოსა და მსოფლიო სოციალიზმის დაცვისათვის და მოძმე არმიებთან ერთად შემუსრონ ყოველი აგრესორი, რომელიც გაბედავს და ხელყოფს სოციალისტურ და კომუნისტურ მონაპოვრებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივ კომისიაში

გამართულა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელშიც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დავუტაძე გ. წულაიას მოხსენება რესპუბლიკის ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები ო. აბესაძე, ჯ. ქრისტესიანელი, „აკადემატმრეწველის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გორის საცდელი ქარხნის დირექტორი მ. ილარიშვილი, ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მთავარი ინჟინერი პ. მარგველაშვილი, თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათაშენებელი ქარხნის დირექტორის მოადგილე ა. თოფურია. მომხსენებელმა და კ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ● ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ● ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ შთავრობის მიწვევით სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო 1974 წლის 16-დან 22 თებერვლამდე ოფიციალურ ვიზიტით იყო იტალიაში. იგი მიიღეს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯ. ლეონემ და იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. რუმორმა. გაიმართა მოლაპარაკებები იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. მოროსთან. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ნ. ს. რიეოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ი. ვ. დუბინინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწე ვ. გ. მაკაროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსი ა. ლ. ადამიშინი; იტალიის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები მ. პედინი და ჩ. ბენსი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი რ. გაია, იტალიის ელჩი სსრ კავშირში პ. ვინჩი, საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტთა უფროსები რ. დუჩი და ჩ. გუაიარონი.

საუბრები და მოლაპარაკება, რომელთა დროს მოხდა აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო მთელ რიგ საკითხებზე, მიმდინარეობდა ორი ქვეყნის ურთიერთობის ხასიათის შესაბამის მეგობრულ და საქმიან ვითარებაში.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს იმ დადმნიშვნელოვან როლს, რომელსაც ასრულებს 1972 წლის კონსულტაციების შესახებ საბჭოთა კავშირ-იტალიის ოქმი, და განაცხადეს, რომ კვლავაც მხარს დაუჭერენ ამ ოქმში მოცემულ შესაძლებლობათა ეფექტიან გამოყენებას ევროპასა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შემდგომი შენელების, მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ინტერესებისათვის, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის გაღრმავებისათვის.

მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დუთმეს თათბირს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე. ისინი შეთანხმდნენ, რომ კვლავაც ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ხელი შეუწყონ ამ თათბირის რაც შეიძლება ძალე წარმატებით დამთავრებას.

მხარეებმა აღნიშნეს ახლო აღმოსავლეთის საკითხში თავიანთი პოზიციების სიახლოვე და კვლავ დაადასტურეს, რომ ამ რაიონში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის № 242 და 1973 წლის 22 ოქტომბრის № 338 რეზოლუციების შესრულებით, რომლებიც ითვალისწინებენ ისრაელის ჯარების გაყვანას 1967 წელს ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან, ამ რაიონის ყველა ქვეყნის უშიშროებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა პატივისცემას.

განიარაღების საკითხების განხილვის დროს მხარეებმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების აუცილებელი პირობაა ქმედითი ღონისძიებანი გასალებული შეიარაღების შეწყვეტისა და საყოველთაო და სრული განიარაღების გახორციელებისათვის, რომელიც მოიცავს რაგორც ატომურ იარაღს, ისე ჩვეულებრივი სახეობის შეიარაღებას, რომელიც დაექვემდებარება მტკიცე და ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს. ისინი შეთანხმდნენ, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა გზა გაუხსნან ყველა დაინტერესებული სახელმწიფოა მონაწილეობით განიარაღების შესახებ მსოფლიო კონფერენციის მოწყობას.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა საყოველთაო მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, აგრეთვე იმას, რომ ამ ხელშეკრულებას დაუყოვნებლივ შეუერთდეს ყველა სახელმწიფო.

მხარეებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტი და გამოთქვეს კმაყოფილება ამასთან დაკავშირებით, რომ ვითარდება კავშირურთიერთობა და კონტაქტები სავაჭრო-ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ დარგებში. მათ საჭიროდ მიჩნიეს ასალი იმპულსი მიანიჭონ ამ დარგებში ორი ქვეყნის არსებულ ურთიერთობას.

მინისტრებმა ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და იტალიის მეცნიერული და ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმებას და იტალიაში საბჭოთა საკონსულო დაწესებულებებისა და სსრ კავშირში იტალიის საკონსულო დაწესებულებების ოქმს, რომელიც ითვალისწინებს გაიხსნას სსრ კავშირის გენერალური საკონსულო მილანში და იტალიის გენერალური საკონსულო—ლენინგრადში. მხარეებმა ერთმანეთს გაუცვალეს აგრეთვე სიგელები საბჭოთა კავშირ-იტალიის საკონსულო კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ სთხოვა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. მოროს ოფიციალური ვიზიტით ეწვიოს საბჭოთა კავშირს. მიწვევას კმაყოფილებით დათანხმდნენ. ვიზიტის ვადებს შეათანხმებენ დიპლომატიური არხებით.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკურ ქარხანაში მოეწყო შრომის დიდების მუზეუმი, რომლის შექმნის ინიციატორია ამავე ქარხნის ვეტერანი მუშაკი გ. მინდიაშვილი.

არსებობის ოცდაუთხუთ წლის მანძილზე ქარხანამ ოთხჯერ შეიცვალა სახელწოდება, რაც განპირობებული იყო ძირითადი პროდუქციის წარმოების შეცვლით. სწორედ ამის მიხედვით მოეწყო სტენდები, რომლებზეც წარმოდგენილია 500-ზე მეტი ფოტოსურათი. აქ მნახველები ეცნობიან საამქროთა მუშაობის პროცესებს, კომუნისტური შრომის ბრიგადებს და სხვ.

ცალკე სტენდზეა იმ მუშაკთა სურათები, რომლებიც ქარხანაში ოცდაწლიან მეტია მუშაობენ უწყვეტი სტაჟით; აქვეა აგრეთვე სტენდი „სამამულო ომის ვეტერანები“.

ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝ ᲒᲐᲠᲜᲘᲢᲣᲠᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). საგამოფენო დარბაზში განსაკუთრებული ბევრი ხალხი იყო იქ, სადაც გამოფენეს ბათუმის ხიხ დამმუშავებელი კომბინატის ახალი პროდუქცია — სამზარეულო გარნიტური. იგი დაპროექტა ავეჯის საკავშირო საპროექტო ინსტიტუტმა.

გარნიტური თოთხმეტი ერთეულისაგან შედგება. აქვს სხვადასხვა დანიშნულების საკიდი კარადები, ჭურჭლის სარეცხი და საშრობი განყოფილება, კარადების, მაგიდისა და სკამების ზედაპირი პლასტიკატით არის დაფარული.

ᲕᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ. ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲡ

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ თბილისის ოფიცერთა სახლისა და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მოკადრაკეები ამხანაგურ შეხვედრებს ატარებენ ერთმანეთთან.

ძველ მეტოქეთა ახლანდელი მატჩი, რომელიც გაიმართა 28 დაფაზე, მიეძღვნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის 56-ე და საბჭოთა საქართველოს 53-ე წლისთავს.

დინამოელთა რიგებში გამოდიოდნენ ოსტატები ა. ბუსლაევი, ე. უბილავა, ა. ტუხოვსკი, ცეცური კობაიძე და მაია ჩიბურდანიძე, არმიელთა ღირსებას კი იცავდნენ საერთაშორისო ოსტატი ალა ჩაიკოვსკაია, ოსტატი ა. ბოკუჩავა და სხვ.

დაძაბული ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ — 14:14. აღსანიშნავია, რომ ნორჩმა მაია ჩიბურდანიძემ დაამარცხა გამოცდილი პირველთანრიგოსანი ვაჟი მ. ნიკოლაიშვილი.

„ᲐᲕᲐᲖᲐ“ ᲛᲘᲛᲖᲐᲓᲘᲗᲐ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ...

ᲜᲝᲠᲩ ფეხბურთელთა ტურნირი დღითიდღე პოპულარულ ხდება და მაყურებელთა რიგების შესამნევ ზრდას იწვევს. განსაკუთრებით ბევრი გულშემატკივარი ჰყავს საქართველოს სპორტკომიტეტის სპეციალიზებული სკოლის პირველ გუნდს „ავაზას“. მისი ფეხბურთელები ხშირად ისეთ ოლუფის ასრულებენ, რომ მოხდენილად „ათვინიერებენ“ ტყავის ბურთს, რომ ნაცად ოსტატებსაც შეშურდებათ: საუკეთესო შთაბეჭდილებას ტოვებენ გუნდის კაპიტანი ვაჟა არქანია, მარცხენა გარემარბი მიშა ხეხი, მეკარე ენმარი ძიძიგური. დანარჩენ ფეხბურთელთაგან აღსანიშნავი არიან თავდამსხმელები ილო ჭორგიკაშვილი („შევარდენი“), გიორგი ინასარიძე („სინათლე“), სოსო ჯაუკიძე („ო�ერია“).

ტურნირი ახლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. უკვე გამოვლინდნენ ფინალისტები ორივე ჯგუფში. ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად იბრძვის „ავაზას“ ორივე გუნდი (ბოლო ტურში მათ დაამარცხეს — „სიბადილ“ — 3:1 და „განთიადი“ — 1:0): უფროსი შეხვდება „შევარდენს“, ხოლო უმცროსი — „სინათლეს“. მესამე-მეოთხე ადგილის ბედი გადაწყდება „ვარძია“-„სინათლეს“ (1961 წელს დაბადებულნი) და „ჩიორა“-„კრწანისის“ (1962 წ.) ორთაბრძოლებში. ეს მატჩები გაიმართება სპორტის სასახლეში კვირას 12 საათიდან.

Ო. ᲜᲝᲜᲯᲐᲫᲔ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

□ ᲗᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲛᲨᲠᲐᲚᲘ. მსოფლიოს ჩემპიონატზე ფალუნში (შვეიცია) გასათამაშებელი დარჩა მედლების სამი კომპლექტი — ამანათრბენში 4X5 კმ. ქალებისათვის, 90-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომასა და ვაჟების 50 კმ. რბოლაში. საბჭოთა გუნდის ღირსებას ამანათრბენის ერთ-ერთ ეტაპზე დაიცავს ბალინა კულაკოვა, რომელმაც ფალუნში ასლასან ოქროს ორი მედალი მოიპოვა. საინტერესოა, შეძლებს თუ ვერა გ. კულაკოვა შვეიციიდან დაბრუნდეს მსოფლიოს სამზეს ჩემპიონის ტიტულით, ისევე როგორც საპოროს ოლიმპიური თამაშების სტარტებიდან.

□ ᲨᲘᲰᲝᲠᲘᲝ. ერეგნის „არარატმა“ ბეირუთში გამართა პირველი ამხანაგური მატჩი. ანგარიშით 4:1 არარატელებმა 40.000 მაყურებლის თანდასწრებით დაამარცხეს ლიბანის ორი კლუბის „პონსნემონისა“ და „პომეენტმენის“ ნაკრები.

□ ᲙᲝᲚᲝᲛᲑᲘᲐ. დიდი ინტერესი გამოიწვია 21 თებერვალს მოსკოვში, სპორტის სასახლეში გამართულმა მატჩმა სსრ კავშირის პირველობაზე დედაქალაქის „ცრილია სოვეტოვს“ და ცსკა-ს — ახალ ჩემპიონსა და ოქროს მედლების მრავალგზის მფლობელს შორის ორივე გუნდისათვის ეს იყო მართლაც რომ პრესტიჟის მატჩი. ანგარიშით 6:3 გაიმარჯვა „ცრილია სოვეტოვმა“. ჩემპიონმა მეორე პრიზორს — ცსკა-ს გაუსწორა 13 ქულით, ხოლო მესამე ადგილზე გამოსულ მოსკოვის „დინამოს“ — 15 ქულით.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ

ᲒᲠᲘᲤᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

□ *25 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ*

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — მოსწავლეთათვის — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.30 — საქართველოს ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲘᲡ 53-ᲯᲔ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲛᲝ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲚᲐᲪᲘᲐ ᲠᲣᲡᲣᲗᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲘᲗ. 19.30 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ“, 20.05 — ქართველ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 21.00 — „ᲓᲝᲛᲘᲜᲝ“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ᲡᲐᲠᲔᲠᲝᲜᲘ“ — ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ“. Ლ. ᲭᲘᲐᲣᲠᲘᲡ — „ᲯᲐᲙᲘ-ᲯᲐᲑᲐ“, 22.00 — „ᲕᲠᲪᲚᲘᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „უკანასკნელი მასკარადი“.

□ *26 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ*

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა. 11.00 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (VI-კლასელთათვის — ტუმბოები), 11.25 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 12.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: 1. სატელევიზიო ფილმი „თეთრი კვადრატი“, 2. მხატვრული ფილმი „შავ ქვიშნარში“, 16.25 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემავლელთა დასახმარებლად ქართულ ენაში, 17.10 — ბიოლოგიაში, 17.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „ᲑᲣᲚᲐᲢᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ“, 19.05 — სპორტული მიმოხილვა, 19.25 — გაგაცნობებები, 19.30 — კინონარკვევი, 19.40 — „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ — ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲒᲝᲑᲐᲠᲘ“, 20.00 — კონცერტი, 20.30 — „ᲓᲝᲛᲘᲜᲝ“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — „ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ“ — სატელევიზიო პროფესიონალური ჟურნალი, 22.00 — „ᲕᲠᲪᲚᲘᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ᲨᲐᲑᲐᲠᲓᲐ“, 23.45 — ახალი ამბები.

□ *27 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ*

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინონარკვევი, 11.00 — მოსწავლეთათვის — სატელევიზიო სპექტაკლი „ᲔᲛᲘᲚᲘᲐ“. I ᲜᲐᲬᲘᲚᲘ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.10 — მხატვრული ფილმი „ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲣᲚ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲤᲘ“, 16.30 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემავლელთა დასახმარებლად: ქიმიაში, 17.15 — სსრკ ისტორიაში, 18.00 — განცხადებები. 18.05 — კინონარკვევი, 18.15 — მოსწავლეთათვის — „ᲡᲐᲘᲜᲢᲠᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲠᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘ“, 18.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა, 20.00 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „ᲞᲚᲔᲩᲝᲠᲘ“ — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი, 21.20 — კინონარკვევი, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ᲕᲠᲪᲚᲘᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა